საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტიის.

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 400,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კპ. ...
4 „ 15 „ ...
1 გვ. 1 მ. 50 კ. ...
4 „ 1 მ. — ...

№ 608 სამშაბათი, ოქტომბრის 30, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400,000

საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ ნოემბრის 7-სათვის ქ. ტფილისში მოწვეულია.

## პარტიის მეორე ყრილობა

### განსახილველი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. დამოკიდებულება კომპარტიასთან.
3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 100 წევრზე იგზავნება ერთი დელეგატი. ორგანიზაცია, რომელშიაც ითვლება ას წევრზე ნაკლები, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. არჩევნები ხდება ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებაზე.

ყრილობა გაიხსნება ცენტრალურ კლუბში დღის 12 საათზე.

## ბრძოლა თუ სიკვდილი?

2.

### გერმანიის რევოლიუცია.

1918 წელში გერმანიაში დაიმხო კაიზერის მთავრობა და 7 წლიანმა პრეზიდენტმა ებერტმა დემოკრატიული რესპუბლიკა შემოიღო გერმანიაში.

რა მოუტანა გერმანიის ხალხს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ?

ამ კითხვის პასუხი სავსებით გაარკვევს გერმანიის ცხოვრებით შემზადებულ საერთაშორისო ცხოვრების მომენტს და საერთაშორისო რევოლიუციის პრესპექტივას.

მცირე რამ ეხლავე უნდა განვმარტოთ. საზოგადოებრივ ძალებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მოვლენის **შედეგებს** და არა მიზეზებს. მიზეზობრივ მომენტებს იკვლევს მეცნიერება და თავის მოქმედებას უფარდებს პოლიტიკური ორგანიზაციები. ბოლოსა და ბოლოს რჩება თვითონ მოვლენა, მთელ თავის მიზეზებით და შედეგებით.

1918 წლის გერმანიის რევოლიუციის პოლიტიკური აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ კაიზერის მიერ წაგებულ ომს ცუდი პოლიტიკური და ეკონომიური შედეგი არ მოყოლოდა.

ჩვენ კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დემოკრატიულმა რევოლიუციამ ამ მხრივ ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა გერმანიის ხალხს. ომის შემდეგ გერმანიამ მიიღო წაგებულ ომის ყველა ის შედეგი, რომელიც იქნებოდა იმ შემთხვევაშიაც, ტახტზე რომ დარჩენილიყო ვილჰელმ მე-2. ამ მხრივ ვილჰელმის შეცვლას ებერტით არავითარი სარგებლობა არ მოუტანია გერმანიისათვის. რასაკვირველია, ეს მოხდა უმთავრესად იმისთვის, რომ **არსებითად საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკა გერმანიისა ვილჰელმის დროსაც და ებერტის ხელშიაც ერთი და იგივეა.**

ესე იგი დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიაში აღინუსხება დაუძლურების და დაქვეითების რესპუბლიკად, სადაც ხალხს იმედი და სასოება წართმეული აქვს.

ერთის შეხედვით ებერტის მთავრობა დიდ მუშაობაშია, რათა გერმანია გამოიყვანოს მიმწყვდეულ ჩიხიდან, მეორე მხრივ გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობაც ისეთია, რომ ანტანტის უძლავრესი სახელმწიფო—ინგლისი თითქოს სცდილობს იგი სავსებით არ განადგურდეს საფრანგეთის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა გერმანია მაინც საოცარის სისწრაფით მიექანება წინ უფსკრულისაკენ და თან და თან ეხვევა სამოქალაქო ომის ხვეულში.

ხუთი წელია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა „კულტურულ“ დასავლეთთან ეწევა ურთიერთობას და ხუთი წლის ეს ისტორია ჩვენ ერთ რამეს გვიმტკიცებს: **გერმანეთის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს იმპერიალისტურ „კულტურულ“ დასავლეთთან ურთი ერთობით.**

რა ნაირი ცვლილებაც არ უნდა მოხდეს გერმანიაში ყოველი ძალა უეჭველად დამარცხდება, რომელიც კი შეგუების პოლიტიკას გააგრძელებს ანტანტასთან. ანტანტასთან ლაპარაკი გერმანიას მხოლოდ მაშინ შეეძლება, როცა ის ნამდვილად მიჩნეული იქნება სუვერენულ სახელმწიფოდ, როცა ანტანტის მუშტი მას არ შეაშინებს, ესე იგი, როცა გერმანიას აღმოსავლეთიდან ზურგი ექნება სავსებით გამაგრებული, ხოლო შინ კი მუშათა კლასის სოციალისტური პოლიტიკა მიჩნეული იქნება სახელმწიფოებრივ პოლიტიკად.

ყოველი დღე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა მიაქანებს გერმანიას აღმოსავლეთის მიმართულებისაკენ, ეს მიმართულება დაიხსნის მხოლოდ გერმანიას იმ უმაგალითო უბედურებიდან, რომელშიაც იგი ჩააგდო კაპიტალისტურ წყობილების მოჩანჩალე პარტიებმა.

ეს უბედურება—ჩვენ ვსთქვით—უმაგალითო უბედურებაა-თქო. შეიძლება ამან ვინმე გააოცოს. პოლიტიკურ ცხოვრებას ისეთივე თვისება აქვს, როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმს. დაავადებული სხეული ყოველ წუთით იხრწნება ხოლმე. წუთიდან წუთში სენის ევოლიუციას უბრალო თვალი ძნელად შეამჩნევს. გაივლის ხანი, მოშორდებით დაწყლულებულს ადგილს, შემდეგ თუნდაც რეტროსპექტიულად თვალს მიმოავლებთ მას და თქვენ დაინახავთ უფსკრულს წინანდელსა და აწინდელს მდგომარეობათა შორის.

ასე უნდა შევხედოთ გერმანიას თუ გინდათ თქვენ დაინახოთ ებერტის მოღვაწეობა, ანტანტის პოლიტიკაც და მთელი გერმანეთის მახლობელი მომავალი.

ძველად გერმანია შესდგებოდა 25 სამთავროდან, რომელთა შორის გამბურგი, ლიუბეკი და ბრემენი წარმოადგენდნენ თავისუფალ ქალაქებს. ამ ჟამად გერმანია აერთებს 15 რესპუბლიკას და იმავე სამს თავისუფალ ქალაქს. მაგრამ ეს ფედერაცია ბამბის ძაფით არის გადაბმული. უდიდესთაგანი რესპუბლიკა ბავარია თავის ყოფილ „რეზერვატიულ უფლებებს“ ყოველდღე აღრმავებს და ვინ უწყის შეიძლება იქაც რეინლანდის ისტორია დატრიალდეს.

მაგრამ გერმანიის ფედერაციას მთელი მსოფლიო ჰილყავსავით დაესია. ანტანტის მთელი პოლიტიკა და ვერსალის ხელშეკრულობა მუხანათურ გრძნობებზეა აგებული. კლემანსოს მთავრობის მთელი ცდა იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფოები გერმანიის წინააღმდეგ აემხედრებია. შეიძლება ითქვას, რომ კლემანსოს მთავრობამ გერმანიის ხარჯზე ეს შესძლო. გერმანეთის სხეულიდან პოლონეთს მისცეს ქვემო და ზემო სილეზია თითქმის ორი მილიონი მცხოვრებებით, მასვე მიუმატეს კიდევ პოზნანი, აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიის ნაწილები, ბელგიას მისთავაზეს მალმედი და ეიპენი, საფრანგეთს—ელზას-ლორენი, კოლონიებში ტოგო, კამერუნი, აღმოსავლეთი აფრიკა, ბისმარკის არხიპელაგი, სამოას კუნძულები, მარიანის, მარშალის კუნძულები და კიაო-ჩაუ დაინაწილეს ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ და იაპონიამ. ამას გარდა მთელი რიგი ადგილები თავის მფარველობის ქვეშ დააყენა თვით „ნაციათა ლიგა“-მ, რომელიც ურიგებს ლიტვას, დანიას და სხ.

ერთი სიტყვით, გერმანიას ჩამოაცალეს 15 მილიონამდე მცხოვრებნი, 3 მილიონამდე ოთხ. კილომეტრი ადგილი და დაიყვანეს იგი 60 მილიონამდე მცხოვრებლებამდე.

ებერტის რესპუბლიკის ზურგზე ანტანტას კიდევ არ შეუწყვეტია დემონისებური თამაში. მთელი რიგი პლებისციტარული ადგილები (საარი, რეინი და სხ.) საფრანგეთმა უკვე ჩაიგდო ხელში, მაგრამ იგი საფრანგეთი დღეს კატეგორიულად იბრძვის გერმანიის ფედერაციის მოსასპობად და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გარდაქმნისათვის.

ამ ჟამად ეროვნული დამოუკიდებლობა საფრანგეთმა სავსებით გააკოტრა და ამ პრინციპის საშუალებით ის უმაგალითო რეაქციონურ საქმეს აკეთებს. ანტანტის მთელი პოლიტიკა ევროპას მიაქანებს საშუალო საუკუნოების სამთავროებამდე. ავსტრია, ჩეხო-სლოვაკია, ჰუნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგო-სლავია, რეინლანდი, შემდეგ ბავარია, ან კიდევ საქსონია, პრუსია, ვიურტემბერგი, ბრაუნშვეიგი და სხვა და სხვა ჩვენ მოგვცემს სწორედ ევროპის საშუალო საუკუნოების ანარეკლს.

ფინანსიურად გერმანია დედამიწის ზურგზე ყველაზე მეტად გაკოტრებული და დავალიანებული ქვეყანაა. მან უნდა გადაიხადოს 65 მილიარდი მანეთი ოქროთი, რაიცა არსებულს პირობებში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გერმანიამ მოახერხოს. ვერავითარი მთავრობა ვერ დააკმაყოფილებს ანტანტის ამ გარდუვალ მოთხოვნილებას. ვერც რატენაუს, ვერც კუნოს, ვერც შტრეზემანის, ვერავითარი მთავრობით ებერტი ვერ გადასჭრის გერმანიის პრობლემას. კეინსი მართალია, რომელიც საერთაშორისო კატასტროფას გერმანიიდან მოელის.

ჩვენ დღეს ამ კატასტროფის წინაშე ვართ. აქ კი სამი ძალა მოქმედობს ამ ჟამად: 1. პროლეტარიატი, 2. კაპიტალისტური რეაქცია, 3. ებერტის დემოკრატია, ოპორტიუნისტული წვრილი ბურჟუაზიით. ამ სამი ძალის ურთი-ერთობითა ჩვენ ვხედავთ, რომ ბრძოლის ინიციატივა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის (ფაშიზმი) ხელშია, ებერტი არსებითად არევ-დარევას აძლიერებს და კუდში მისდევს რევოლიუცია-რეაქციის ტალღას.

ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში? ჩვენთვის ასეთი კითხვა არ არსებობს. მაგრამ იგი კითხვა საზოგადოთ არსებობს. ამ ბრძოლაში უეჭველად რევოლიუცია, ე. ი. პროლეტარიატი გაიმარჯვებს.

ერთად ერთი ძალა, რომელიც სერიოზულია და მთავრობის ხელისუფლებაზე ოცნებობს—ფაშისტური ძალაა. მაგრამ მუსოლინს თუ დღესაც კატოლიკების ჯგუფი და რესპუბლიკანელები შორდებიან და თან და თან ბურუსით იმოსება მისი შუბლი, გერმანიის ფაშიზმს იოტის ოდნავ არ შეუძლიან იტალიას წაბაძონ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ იტალიის ფაშიზმს ფულები და ადგილები **მიხალები** ქონდა და აქვს, გერმანიისას კი—**გახალები**. იტალიის და გერმანეთის ფაშიზმების ბალანსი სხვა და სხვაა, ერთს აქტივი აქვს, მეორეს—პასივი. აქ მარხია ძაღლის თავი.

რამდენადაც მალე გაიმარჯვებს გერმანიაში ფაშიზმი, იმდენადვე მალე დამარცხდება იგი. შეიძლება ამით რევოლიუციამ კი არ წააგოს—კიდეც მოიგოს. ამიტომაა ჩვენ ვფიქრობთ, გერმანიის ფაშიზმს შეუძლია საშინელი ზიანი მოუტანოს საერთაშორისო რევოლიუციას, მაგრამ მას იგი ვერ მოსპობს.

თედო ღლონტი.

## „გერმანიის რევოლიუციის მოახლოვება და მთლიანი ფრონტის ტაქტიკა“

ამხ. ზინოვიევის წერილი.

(რადიოთი).

ამხ. ზინოვიევი „გერმანეთის რევოლიუციის პრობლემები“-ს ერთ-ერთ თავში ზემოხსენებულის სათაურით სწერს:

„სრულიად გერმანეთის კოალიციონური მთავრობა ორთავე ფეხით დაკოჭლდა: მარჯვნივ—თეთრი ბავარია და მარცხნივ—წითელი საქსონია. წითელი საქსონია, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ—წითელ-ყვითელი საქსონია, თეთრი ბავარია და ყვითელი ცენტრალური მთავრობა—აი ასეთია ახლანდელი მდგომარეობა. რად უნდა იქცეს შემდეგში გერმანეთში მთლიანი ფრონტის ტაქტიკა?

გერმანეთის კომპარტიამ დიდის წარმატებით მოიხმარა მთლიანი ფრონტის ტაქტიკა. მაგრამ, გერმანეთში ახლა შექმნილ მდგომარეობის გამო ეს ტაქტიკა ახალ ფაზისში შედის. ეს ტაქტიკა, რასაკვირველია, ისევ სწორია, მაგრამ თანამედროვე გერმანეთისათვის, გარდა პროლეტარიატის საშუალო და ჩამორჩენილ ფენების შეკრება-მომხრობისა, იბადება მეორე ამოცანა; იყოს ფხიზლად და ათვალთვალოს, რათა ამ მთლიანი ფრონტის ტაქტიკის წარმოებამ არ შეაფერხოს რევოლიუცია და არ დაუმბლაოს გამბედაობა ავანგარდს, რომელმაც უნდა შესძლოს და სულ ყველაფერი სამკვდრო-სასიცოცხლოდ წამოაყენოს.

გერმანეთის კომპარტია ვალდებულია ყოველი ღონე იხმაროს და თავისკენ გადაიყვანოს სოც.-დემ. და კომუნისტებს შორის მერყევი მუშა—სოც.-დემ. ფენესი. ამას წინად ჰამბურგსა და ბერლინში წარმოებული მოლაპარაკება ბერლინის სოც.-დემ. ორგანიზაციის ცრუ-მემარცხენეების ბელადებთან, ალბად აუცილებელია, მაგრამ ამ მოლაპარაკებასთან დაკავშირებული საფრთხე მეტად იზრდება.

**იხარჯება ძვირფასი დრო!**

ამ მოლაპარაკების დროს რომ, გერმანეთის კომპარტიამ, მოლაპარაკების შედეგების იმედით, თავი მიანებოს საჭირო ზომების პრაქტიკულად მომზადებას, რომ სოც.-დემოკრატების ბელადებთან კავშირის შეკვრის იმედით, ფართე პოლიტიკური გეგმები დაისახოს,—ამით იგი ნამდვილ ბოროტმოქმედებას ჩაიდენს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანეთის კომპარტია არ დაუშვებს ასეთს შეცდომას. მოლაპარაკება—თავისთვის და საქმე კი საქმედ დარჩება.

**ეჭვი არაა, რომ დადგება წამი, როდესაც გერმანეთის სოც.-დემ. კონტრ-რევოლიუციონური ბელადები ფორმალურად შეუერთდებიან მთლიან ფრონტს და როდესაც რომელიმე სხვა გზით შეუძლებელი იქნება ბურჟუაზიის ხსნა.**

**კომუნისტებმა საკითხი უნდა ნათლად დააყენონ: „რისთვის, რა მიზნით უერთდებიან ეხლა მთლიან ფრონტს კონტრ-რევოლიუციონურ სოც.-დემ. ბელადნი, რომლებმაც ათასჯერ უღალატეს პროლეტარიატს“?**

იმისთვის, რომ მოადუნონ პროლეტარულ მასსების რევოლიუციონური ნება, რომ რევოლიუციონური შტაბი სადისკუსიო კლუბად, სალაყბოდ გადააქციონ? ასეთი დახმარება და შველა შეიძლება საბედისწერო იყოს რევოლიუციისათვის.

გერმანეთის სოც.-დემ. უკვე აღარ უპყრავს ხელში გერმანეთის ბედი. მშვიდობიანი დაბოლოვება საქმისა, უკვე მის ხელთ აღარ არის. საერთოდ, მშვიდობიანი დაბოლოვება ეხლა უკვე შეუძლებელია, მთლიანი ფრონტის ტაქტიკა სწორი რჩება საერთაშორისო მასშტაბით, გერმანეთში კი ძირითად საკითხებში იგი უკვე გატარებულია. მუშათა კლასის გული უკვე აღსდგა და დგება. პროლეტარიატის არიერგარდი მას ეწევა, ავანგარდის ამოცანაა—წაიყვანოს ბრძოლაში წამოწეული მასსები. ტაქტიკა მთლიანი ფრონტისა—მუშათა კლასის ავანგარდის სტრატეგიული მანევრი—სწორეა. საჭიროა მხოლოდ, რომ დღევანდელ აბობოქრებულ გერმანეთში მთლიანი ფრონტის ტაქტიკამ თავის საწინააღმდეგო ნაყოფი არ გამოიღოს“.

## შენიშვნები

### 3 ჩვენი პარტია და კომუნისტები.

არის თუ არა რაიმე ისეთი პროგრამული, ან პრინციპიალური ხასიათის დებულება ჩვენსა და კომპარტიის შორის, რომელიც ხელს უშლიდეს ამ ორი პარტიის გაერთიანების, ან უკეთ, აფერხებდეს ჩვენს გადასვლას კომუნისტების რიგებში?—ამ კითხვაზე ნაწილობრივ ჩვენ უკვე გავეცით პასუხი. ამ წერილში შევეცდებით უფრო ვრცლად შევეხოთ მას, რადგან ორი პოლიტიკური პარტიის პროგრამისა და სამოღვაწეო პლატფორმის გამორკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს პარტიათა დაახლოვებისა და გაერთიანების საქმეში.

ცნობილი ეკონომისტი ტუგან-ბარანოვსკი ერთ თავის ნარკვევში „თანამედროვე საზოგადოებრივ იდეალების შესახებ“ აღნიშნავს, რომ ყოველ პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს გარკვეული კრიტიკა თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობის შესახებ, გარკვეული წარმოდგენა მომავალ წყობილებისა, საითკენაც ეს პოლიტიკური პარტია მიილტვის და აგრეთვე გზები და საშუალებანი ამ „იდეალური წყობილების“ განსახორციელებლად.

რევოლიუციონური პარტიის მოღვაწეობისათვის გადამჭრელი და არსებითი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ დებულებას, გარკვეულ გზებისა და საშუალებების გამომუშავებას სოციალისტური ურთიერთობის გასამტკიცებლად. შეიძლება საუცხოვო კრიტიკა ქონდეთ თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობის, აღნიშნოთ მისი ყველა უარყოფითი მხარეები, დაგმოთ კაპიტალიზმის ბატონობა და მომხიბლავი სურათი დახატოთ ახალი სოციალური წესწყობილების შესახებ, მაგრამ ყოველივე ამას ეკარგება ფასი და ღირებულება, თუ თქვენ არა

გაქვთ სწორი, გარკვეული და მიზანშეწონილი გზე-ბი გამომუშავებული კაპიტალისტურ წყობილებიდან კომუნისტურ მეურნეობაში გადასასვლელად, თუ თქვენ ვერ გამოიმუშავებთ სწორ საშუალებას სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციისათვის.

ჩვენ ვერ მოვნახავთ ვერც ერთს რადიკალური ხასიათის დებულებას ზემოდ აღნიშნულ საკითხების შესახებ, რომელთაც შეეძლოს დააშოროს და შეუძლებელი გახადოს ჩვენი პარტიის გაერთიანება კომპარტიის რიგებთან. ჩვენი კრიტიკა თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობისა არსებითად იგივეა, როგორსაც აწარმოებს კომუნისტური პარტია; ჩვენი იდეალი არის კომუნიზმი, კომუნისტური წესწყობილება.

მაგრამ ის, როცა ჩვენ გვაახლოვებს და ერთ სახეობას გვაძლევს, ეს არის სოციალიზმის განხორციელების პროგრამა, გზა, საშუალება. თანამედროვე ვითარებაში კომპარტიამ და მთელმა კომინტერნმა ისეთი პლატფორმა, ისეთი გეზი მოქმედებისა აილო და შეითვისა, რომელმაც არსებითად წაშალა ჩვენს შორის წინად არსებული წინააღმდეგობა და სხვა და სხვაობა.

არჩილ ჯორჯაძე 1904 წ. სწერდა: **„სოციალიზმი უკვე თეორიის კითხვა აღარ არის, არამედ კითხვა პირ და პირ ძალისა. მისი გადაწყვეტა პარლამენტით კი არ შეიძლება, არამედ ქუჩაზე, ბრძოლის ველზე“**. როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე ჯერ კიდევ 1904 წელში გადამჭრელ მნიშვნელობას ანიჭებდა არა თეორიას, არამედ პრაქტიკას; არა კაბინეტურ მუშაობასა და ძიებას სხვა და სხვა აბსტრაქტიული ცნობების, არამედ ქუჩის მუშაობას, ბრძოლის ველს. ჯორჯაძე მთელ რიგ წერილებში 1904—7 წლებში ამტკიცებდა, რომ რუსეთის რევოლიუციით უკვე დაიწყო სოციალისტური მოძრაობა და ჩვენს **„უმთავრესს ზრუნავ საგანს შეადგენს რევოლიუციონური ძალების გაერთიანება“**. იმ ეპოქაში არჩილის იმედები არ გამართლდა და რეაქციამ მეორე დღესვე იდღესას წაულა თავისი გამარჯვება. მიუხედავად ამისა ლოზუნგი ქუჩის, ბრძოლის ველის გამაგრებისა და რევოლიუციონურ ძალების გაერთიანებისა ძალაში დარჩა.

მაშინდელ პერიოდში ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის საკმაოდ მოზრდილი სახის განსხვავება არ სებობდა მომენტის გაგებასა და სამოღვაწეო პროგრამის გამომუშავებაში.

ბოლშევიკებს მაშინ კიდევ სწამდათ კაპიტალიზმის ძლევა მოსილება და მისი პროგრესიული მნიშვნელობა სოციალიზმის განხორციელების საქმეში. აქედან წარმოსდგა მათი დებულება: დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ,—რაც თავისთავად ნიშნავდა კაპიტალიზმის გზით სოციალიზმისაკენ სვლას. როგორც კი ინდუსტრიის სფეროში, ისე სოფლის წარმოებაში ბოლშევიზმი აყენებდა კაპიტალიზმის განვითარების პროგრამას. პოლიტიკურად ამ პროგრამას ახასიათებდა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და საყოველთაო არჩევნების უფლება, რაც დამახასიათებელი თვისებები არის ბურჟუაზიული დემოკრატიული წყობილებისა.

1904 წელში ჩვენმა პარტიამ გარკვევით წამოაყენა სოციალისტური პროგრამა, რომელიც უარყოფდა დემოკრატიზმის გზას და პარლამენტარიზმს, მოითხოვდა მიწის სოციალიზაციას, ქარხნებისა და ფაბრიკების მუშათა სინდიკატების ხელში გადასვლას და ფართო კოოპერატიულ მოღვაწეობას. ეს პროგრამა ძირიანათ განსხვავდებოდა მაშინდელ ბოლშევიკების პროგრამისაგან და ამიტომაც მათ შორის დაახლოვებაზე ლაპარაკი ზედმეტი შეიქმნა მაშინ.

დღევანდელს პირობებში განწყობილება რადიკალურად შეიცვალა. საერთაშორისო ომმა და რევოლიუციამ ძირიანი გარდატეხები მოახდინა მრავალ სოციალისტურ პარტიათა ცხოვრებაში და არსებითად შესცვალა მათი სამოღვაწეო პლატფორმა. ომმა გამოაშკარავა კაპიტალიზმის კრიზისი და ფაქტიურად დაგვანახვა, რომ კაპიტალიზმმა დაკარგა ყოველგვარი პროგრესიული ღირებულება და ცხოვრების შემაფერხებელ ფაქტორად, რეგრესიულ მოვლენად გადაიქცა.

არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ აურთმევია ალღო თანამედროვე ვითარებისთვის ისე სწორად და გარკვევით, როგორც ეს შესძლო რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ. მთელ რიგ წერილებსა და ნარკვევებში ამხ. ლენინი ამტკიცებდა ომის დაწყებიდანვე, რომ კაპიტალისტური მეურნეობა ლპობის პერიოდში შევიდა, რომ მისი არსებობა აღარ შეეფერება ცხოვრების ვითარებას და ამიტომ სოციალისტურმა პარტიამ კაპიტალიზმის განადგურების, იმპერიალიზმის დაძლევის პროგრამა უნდა წამოაყენოს, და აქტიური ჩარევით საერთაშორისო ვითარებამ უნდა დაშალოს კაპიტალიზმის საფუძლები და განამტკიცოს სოციალისტური ურთიერთობა. ამხ. ლენინმა გარკვეული პროგრამა წამოაყენა ომისა და რევოლიუციის დაწყებიდანვე კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად და სოციალისტური კულტურის შესაქმნელად. და ეს პროგრამა თავის უმთავრესს მუხლებში სავსებით მისაღებ შეიქმნა ჩვენთვისაც. ამ ახალმა პირობებმა და პროგრამამ **წაშალა** ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის არსებული წინააღმდეგობა და დაგვაახლოვა ერთმანეთთან.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მთელ რიგ კონგრესებზე გარკვეული ხაზებით გამოთქვა ის პლატფორმა, ის პროგრამა, რომელიც უნდა შეადგენდეს ყოველი სოციალისტური პარტიის მთავარ საფუძველს. ამ პლატფორმის მთავარი კონტურები შემდეგში გამოიხატება:

კაპიტალისტურ წყობილებიდან სოციალისტურ წყობილებაში გარდასასვლელად კაცობრიობამ უნდა გაიაროს ახალი სამეურნეო ფორმაცია, ე. წ. **გარდამავალი პერიოდი**, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის კატეგორიების შერეულ ფორმაციას. ამ პერიოდის განმტკიცებით ნიადაგი ეცლება კაპიტალიზმსა და თანდათან მტკიცდება სოციალისტური კულტურა. **პოლიტიკურად** გარდამავალი პერიოდის ფორმა შეუძლებელი არის სხვა აყოს, თუ არა დიქტატურა და საბჭოთა სისტემა. გზა დემოკრატიზმისა უარყოფილი არის როგორც ყალბი და გამოუყენებელი გზა სოციალიზმის განხორციელების საქმეში. გამარჯვებული პროლეტარიატი არ იღებს ძველ სახელმწიფო აპარატს მთელი თავისი ატრიბუტებით, არამედ ამსხვრევს მას და ქმნის თავის ახალ სახელმწიფოს, მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას, საბჭოთა სისტემას. **ეკონომიურად** გამარჯვებული პროლეტარიატი თავს უყრის მთელს წარმოებას სახელმწიფოს ხელში, ახდენს წარმოების ნაციონალიზაციას, სოფლის მეურნეობაში კი—მიწის სოციალიზაციას. ამგვარად ნაციონალიზაციასა და სოციალიზაციის პრინციპები მთავარ ამოცანად ხდება თანამედროვე რევოლიუციონურ მოძრაობის პერიოდში. მჭიდრო კავშირი მუშასა და გლეხს შორის, სოფლისა და ქალაქის განუწყვეტელ ჯაჭვებით გადაბმა ერთი მეორეზე და ამ სახით შექმნა ძლიერი რევოლიუციონური არმიის და კოლექტივიზმის გაშუქება, ეს არის ძირითადი საფუძველი თანამედროვე ბოლშევიზმისა.

ესევე ძირითადი საკითხები და პროგრამა შეიქმნა ჩვენი არსებობის მთავარი ფუძე **თანამედროვე გარდამავალ პერიოდში.** დღეს ჩვენ იმავე პლატფორმაზე ვდგევართ, რა პლატფორმაზედაც სდგას კომუნისტური ინტერნაციონალი. რასაკვირველია, ჩვენც დაგვჭირდა ჩვენი ძველი პროგრამის რევიზია, მისი შეთანხმება, შეწონვა თანამედროვე ვითარებასთან: დიქტატურის მიღებით, საბჭოთა სისტემისა და ინდუსტრიის ნაციონალიზაციის, ე. ი. ახალ სახელმწიფოს ხელში თავის მოყრის საჭიროების აღიარებით. ჩვენ სავსებით დავსდექით კომინტერნის პლატფორმაზე და ამით ჩვენსა და კომპარტიის შორის ფაქტიურად წაიშალა სხვადასხვაობა პროგრამულს კითხვებში. ამიტომ იყო, რომ ჩვენი პარტიის პირველმა ყრილობამ 1921 წელში შემდეგი დამახასიათებელი და მეტის მეტად საყურადღებო მუხლი მიიღო კომინტერნის პლატფორმის შესახებ. ამ მუხლში ვკითხულობთ—შემდეგს: **„დღევანდელს პირობებში ერთად ერთი უძლიერესი საერთაშორისო რევოლიუციის ავანგარდი არის მე-3-ე კომუნისტური ინტერნაციონალი, რომლის პლატფორმა მისაღებია და ხასარგებლო როგორც დაჩაგრულ ერებისთვის“.** როგორც მკითხველმა უკვე უწყის ეს პლატფორმა შეადგენდა ჩვენი პარტიის ალფასა და ომეგას, სულსა და ტვინს. ამ პლატფორმის ცხოვრებაში გამაგრება და მისი რეალურად განაღდება,—ეს არის ჩვენი არსებობის ძირითადი საფუძველი. მაგრამ იგივე პლატფორმა შეადგენს კომპარტიის მთავარ ამოცანას და ამიტომ, თავის თავად ცხადია ჩვენ არ გვაქვს კომპარტიისაგან განმამსხვავებელი პროგრამა; **ჩვენც და ისინიც ერთ წერტილს ვსცემთ, ერთნაირი გზებითა და მეთოდებით მივდივართ და ვიბრძვით.** ასეთს პირობებში ბუნებრივად იბადება აზრი ერთ პლატფორმაზე მდგომ პარტიათა გაერთიანების შესახებ, უკეთ ჩვენი კომპარტიის რიგებში შესვლის აუცილებლობის შესახებ.

კომუნისტური ინტერნაციონალი სრულიად სამართლიანად მოითხოვს თავის წესდებაში, რომ ერთ სახელმწიფოში შეუძლებელი არის არსებობდეს ორი კომუნისტური პარტია, ისინი ერთ ორგანიზაციაში უნდა შედუღდენო. მხოლოდ დადგენილება ჩვენ გვაიძულებდა ჩვენი პარტია კომინტერნის თანამგრძნობ პარტიად გამოგვეცხადებია, სხვა რამ მიზეზი ჩვენ ხელს არ გვიშლიდა კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლას; მაშინდელს პირობებში საჭირო იყო დამოუკიდებლად არსებობა ჩვენი პარტიისა. დღეს მდგომარეობა შეიცვალა და პირობებიც საკმაოდ მომწიფდა; ამიტომ აუცილებელი საჭიროა არა კომინტერნის თანაგრძნობ პარტიად ყოფნა და მის შესასვლელ კარებთან დგომა, არამედ აქტიურად ჩასვლა საერთო მოძრაობაში და კომინტერნის სრულ უფლებიან წევრად გახდომა. ეს შესაძლებელი არის ადგილობრივ კომპარტიის ორგანიზაციასთან გაერთიანების გზით.

ს. ხ.

## ტელეგ-დეპეშები

**„ზაკროსტას ცნობები“ 28 და 29 ოქტომბრიდან.“**

**— ფრანგები და ბელგიელები განაგრძობენ სეპარატისტების დახმარებას.**

**— ოკუპაცია ქმნილ ოლქებში მღელვარება გრძელდება.**

**— გერმანეთის ნაციონალისტები მოითხოვენ სოც.-დემ. მთავრობიდან განდევნას.**

**— კობლენცში საბოლოოდ შესდგა რეინის მთავრობა.**

**— მთელს გერმანეთში მუშები მოითხოვენ გაფიცვას, პროფკავშირები მათ ეწინააღმდეგებიან.**

**— პუანკარეს სიტყვა და „ლოიალური შეტევის“ დასაწყისი.**

**— საფრანგეთი და ბელგია თანახმა არიან კონფერენციაში მონაწილეობისა.**

**— ამერიკა კონფერენციას აძლევს თათბირის ხასიათს**

**— შტრეზემანმა მოსთხოვა ცეიგნერს საქსონიის მთავრობის გადადგომა.**

**— ბერლინში შესაძლებლად მიაჩნიათ საქსონიის მთავრობის დაპატიმრება, თუ იგი უარს იტყვის გადადგომაზედ.**

**— დრეზდენის ფაბკომების კრებამ მიიღო რეზოლიუცია საერთო გაფიცვის შესახებ.**

# 1919 წლის წერილებიდან

**ახალი ეროვნული პოლიტიკა**

**(დაბეჭდილი „სახალხო საქმის“ № 482, მარტი, 19 წ. გადმობეჭდილია სრულიად უცვლელად).**

საქართველო ეროვნულის სახეობითაც ტიპიური ევროპიული ქვეყანაა.

რას წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოების ეთნოგრაფიული რუქა? როგორ არის ევროპ. სახელმწიფოებში ერები დასახლებული? კლასიური ფორმა ერების მოსახლეობისა ყოველ თანამედროვე სახელმწიფოში შემდეგია: განსაზღვრულ სახელმწიფოში უცხო ერები მოსახლეობენ სახელმწიფოს არა ცენტრალურ ადგილებში და სამრეწველო რაიონში, არამედ უმთავრესად **განაპირა** ადგილებში. რამდენადაც სახელმწიფოს ფარგალი შუაგულიდან მიდის პერიფერიისაკენ, საზღვრისაკენ, იმდენად სუსტდება სახელმწიფოს ძალა, იმდენად მრავლდება არა სახელმწიფოებრივი ელემენტი, იმდენად ადგილს იჭერს უცხო ერი.

საქართველოც სწორედ ასეთს სურათს იძლევა საქართველო შინ, შუაგულში კი არ არის ეროვნულად ჭრელი, საქართველო ჭრელია მხოლოდ პერიფერიაში, განაპირა ადგილებში საზღვრებში სახელმწიფოს ბედისწერაც ყოველთვის პერიფერიებში და განაპირა ადგილებში იბადება და წყდება. ეროვნულად და სახელმწიფოებრივად ერის ბედი განსაცდელში არასოდეს ჩავარდება ცენტრში სადაც შეიძლება იყოს ანტი-სახელმწიფოებრივი გამოსვლა, რევოლიუცია, სხვა და სხვა ხასიათის მოძრაობა, მაგრამ უფრო გადამჭრელი ხასიათის პოლიტიკა, პოლიტიკა ომის, სახელმწიფოებრივობის უარყოფის მოთხოვნილება კი უმთავრესად მის ნაწილებში, პერიფერიებში, უცხო ელემენტებში იბადება. სახელმწიფოს ძლიერება განიზომება არა სახელმწიფოებრივი ცენტრის ძლიერებით, არამედ სახელმწიფოს ძლიერებით პერიფერიაში, საზღვართან, უცხო ელემენტებში. გოლოვინის პროსპექტი კი არ არის სიმბოლო ჩვენი ძლიერებისა, არამედ განაპირა ადგილები. ბორჩალო, ახალ-ციხე, ახალქალაქი, აფხაზეთი, სამაჰმადიანო ადგილები, ოსეთი და სხვა. მტკიცე სახელმწიფო ყოველთვის პერიფერიაშია ღონიერი, ყოჩაღი და გონიერი, ყოველთვის უცხო ელემენტში უნდა იყოს სახელოვანი, გავლენიანი, ძლიერი.

საკითხავია, არის კი ასეთი მდგომარეობა შექმნილი საქართველოში? გამოდგა გონივრული [illegible] საქართველოს სახელმწიფოებრივი პო-

ლიტიკა დღემდე? ჯერ ფაქტებით უნდა ვიმსჯელოთ. ყოველი თვალხილულისათვის აშკარაა შემდეგი: დღემდე საქართველოში მხოლოდ ქართული რესპუბლიკა შეიქმნა და არა საქართველოს რესპუბლიკა; ჩვენი მთავრობა ძლიერია საქართველოს შიგნით, ცენტრში და არა ნაწილში, არა პერიფერიაში, ჩვენი მთავრობის სიყვარული ამოიწურება მხოლოდ ქართველობით, დედა ერით და არა უცხო ერების სიყვარულით ამავე დროს. მეათე თვეა რაც ჩვენ ვარსებობთ სახელმწიფოებრივად, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ საქართველოში მობინადრე ყველა ერის გულის მოგება. ყველამ იცის, რომ ძველი საქართველო მეფეების და თავადებისა იმიტომ დაიღუპა, რომ ის ვერ ხიბლავდა თავის ერებს, ის ვერ შეურიგდა და ვერ შეუთანხმდა თავის ყოველ ძალას. ამ ნიადაგზე სწარმოებდა სისტემატიური შუღლი, სისტემატიური ბრძოლა, ომი, სისხლის ღვრა, ამ პირობებში თან და თან სისხლიდან დაიცალა ქართველობა, ფიზიკურად გადაშენების გზას დავადექით, თითო-ოროლას გამოკლებით ჩვენი ხალხი შემცირდა, დაპატარავდა და სუსტებმა სხვის, რუსეთის უღელში გავყავით ჩვენი ქედი.

ფაქტია შემდეგი: ჩვენი არსებობის ისტორია სისტემატიური ბრძოლის, სისტემატიური ომის ისტორიაა. ათი თვის განმავლობაში ჩვენ არ გვახსოვს არც ერთი თვე, როდესაც ქართულად ვინმე თავს არ ესხმოდეს საქართველოს, არ გვახსოვს არც ერთი შემთხვევა, როცა ეს თავდასხმა სახელმწიფოებრივად და ეროვნულად არ ყოფილიყო მოწყობილი. სახელმწიფოს შეუძლია ძალიან მცირე ყურადღება მიაქციოს რომელიმე მოვლენას როდესაც მას სისხლის სამართლის სუნი უდის, ჩვენ იმდენად არ შეგვაშინებს ავაზაკთა თარეში, ბოროტ-გამზრახველების საქციელი, მაგრამ როდესაც სახელმწიფოს ებრძვიან **პოლიტიკურის** მოსაზრებით, როცა სახელმწიფო მექანიზმს ეროვნულად ეწინააღმდეგებიან ეროვნული **ჯგუფები**, როცა ამ გამოსვლებს ეძლევა სისტემატიური და პერიოდული ხასიათი—ასეთი მოვლენა მეტად დამაფიქრებელია და სახიფათოა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვინახავს საქართველოში არც ერთი ერი, რომელიც ჩვენთან ერთად ყოფილიყოს ჭირსა და ლხინში. ეროვნულმა წინააღმდეგობამ, როგორც ვიცით, დაანგრია ამიერკავკასიის სეიმი, მაგრამ [illegible]

მა გვაჩვენოს: საქართველოში მოსახლე დიდმა ერებმა: სომხებმა, თათრებმა, ოსებმა, რუსებმა მოიტანეს თუ არა თავიანთი წვლილი საქართველოს რესპუბლიკის გაძლიერებისათვის? ჩვენ გვინდა და გვწყურიან საქართველოში მოსახლე ერებისადმი აშკარა მეგობრული და ამხანაგური განწყობილება, ჩვენ გვინდა ჩვენს და ჩვენს შინაურ მეზობლებს შორის მოისპოს სადავო საკითხები, ერთ პერ ქვეშ ვიცხოვროთ ერთობის და სიყვარულის გრძნობის მიხედვით, მაგრამ წინააღმდეგ ჩვენი სურვილებისა, ჩვენი მაბლობელი წარსულის ისტორია შემდეგია: საქართველოში არ არსებობს არც ერთი განაპირა ადგილი, არ არსებობს არც ერთი ეროვნულად მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელსაც ჩვენთვის უნდობლობა და ომი არ გამოეცხადებინოს. საქართველოში მოსახლე ერებთან მეგობრული ცხოვრების მაგიერ ჩვენ გვქონდა და საუბედუროდ დღესაც გვაქვს ბრძოლა. ჩვენს ერებში ჩვენ ძალას ვერა ვკრებთ, რაც გვინდა. თეორიაში, რასაც ვლაპარაკობთ კრებებზე სულ სხვაა ვიდრე არის ნამდვილი ცხოვრება, ვიდრე არის ისტორია, ფაქტი.

ყოველ დღე ვომობთ გარედ, ყოველ დღე ვიბრძვით შინ, ყოველ დღე ჯარზე ვფიქრობთ სახელმწიფოში.

სამწუხარო სურათი გვაქვს გადაშლილი: საქართველოში ეჭვი შეაქვს არა ქართულ ელემენტებს. საქართველოს დროშის ქვეშ ჯერ კიდევ ვერ დამდგარა არა ქართული ელემენტები, ერთი სიტყვით ჩვენ გვაქვს ფაქტიურად **ქართული** რესპუბლიკა, მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს **საქართველოს** რესპუბლიკა. ამ მდგომარეობით ჯერ-ჯერობით ძალიან დავსუსტდით. ჩვენ უძლურნი ვართ არა მარტო პერიფერიაში, თვალმარგალიტი ჩვენი ტერიტორიისა დროებით, მაგრამ ხელში დღეს მაინც არა გვაქვს ჩვენი სასოება და იმედი—ძვირფასი ძველი კულტურა საქართველოსი ბათომის მხარე განზეა გამდგარი და ჩვენი მოძმე მაჰმადიანები დღესაც შებოჭილნი არიან პოლიტიკური სენით. ჩვენი პროვინცია-პერიფერია დღესაც ომის პირშია, დღითი-დღე ომის სამზადისში ვართ, სისტემატიურად ვახდენთ მობილიზაცია-დემობილიზაციას.

ჩვენი მიზანი იყო საქართველოს რესპუბლიკა გადაქცეულიყო დაჩაგრულ ერების სამშობლოდ, რომ ჩვენსავით ზურგი გაემაგრებინა საქართველოსთვის, მაგრამ ეს ჩვენი ოცნება ოცნებად და დარჩა. ჩვენ გვინდოდა საქართველოში ყოფილიყო მხოლოდ

ჩვენი ჯარიც მხოლოდ ქართული ჯარია, სისხლს ღვრის საქართველოს რესპუბლიკისთვის მხოლოდ ქართველი ხალხი. ჩვენ ვერ მოვახერხეთ როგორც საქართველოს რესპუბლიკის შექმნა, ვერ მოვახერხეთ საქართველოს ჯარის შექმნაც.

ასეთია ეროვნული მდგომარეობა შინ, მაგრამ ასეთივეა საქართველოს მდგომარეობა მეზობელ სახელმწიფოებთან. დღესაც არავისთან გვაქვს გარკვეული სიტყვა ნათქვამი, არავისთან გვაქვს ალიანსი, კავშირი, ბლოკი. ყველასთანაც ვართ თითქოს, მაგრამ გარკვევით არავისთან ვართ

რაშია საქმე? რაა ამ მდგომარეობის მიზეზი?

ჩვენ კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ ერთი გარემოება. საქართველოში შექმნილი მდგომარეობა სრულიადაც იმას არ მოასწავებს, რომ საზოგადოდ შეუძლებელია საქართველოს სახელმწიფოს სიცოცხლე. ასეთ დასკვნამდე შეიძლება მოვიდეს მხოლოდ ის, ვინც თავს ვერ გაართმევს არსებულს მდგომარეობას, ვინც მიზეზებს ვერ ხედავს, ან ვინც დაინტერესებულია და გახზრახ დაადგებ ადგილობრივ სახელმწიფოების არსებობის უარყოფის აზრს. ნამდვილად კი ჩვენში მრავლად მოიპოვება სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების მასალა, ერი, ქონება, პირობები. ადგილობრივ ერებს კრთად უცხოვრიათ საუკუნოების განმავლობაში და ისინი კვლავაც ცხოვრობენ მეზობლურად-მეგობრულად, თუ ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა იქნება აშკარა და გარკვეული.

ჩვენი ქვეყნის დაქვეითების ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩვენს გაურკვეველ სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში და ამ პოლიტიკის განახლებაზე, ამ პოლიტიკის შეცვლას მივანდოთ ჩვენი აღმშენებლობა. დღემდე წარმოებული ეროვნული პოლიტიკა ჩვენი სახელმწიფოსი უეჭველიდ უვარგისია. ჩვენი ეროვნული პოლიტიკა ვერ მიუდგა საქართველოში არა მარტო სომხებს, არც ერთი ერი ჩვენი რესპუბლიკისა არ არის კმაყოფილი ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკით შეიძლება შემცდარი იყოს ამა თუ იმ საქმეში ესა თუ ის ერი, მაგრამ შეუძლებელია შემცდარად ჩაითვალოს ყოველი ერი. ყველა ერიც რომ შემცდარი იყოს ჩვენდამი დამოკიდებულებაში, იმ შემთხვევაშიაც საჭიროა ჩვენი ეროვნული პოლიტიკის შეცვლა, რათა შევუთანხმდეთ ჩვენში ყველა მომქმედ ერს.

ნამდვილათ კი ჩვენი სახელმწიფოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უძლურია და ბუნდოვანი. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შექმნა ჩვენს სახელმწიფო საქმეებში ის ბურჟუა [illegible]

— შტრეზემანმა ბავარიას წარუდგინა მოთხოვნილება, ბავარიის რეიხსვერის დაუმორჩილოს საიმპერიო სარდლობას.

— ოსმალეთის კაბინეთი გადადგა მთლიანად.

ადგილობრივი ძალები, მაგრამ ესეც საოცნებოდ დაგვრჩა.

# საქ. დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია

ამ ჟამად ანტი-საბჭოთა პარტიები დაშლისა და რღვევის პროცესს განიცდიან. ამ რამოდენიმე ხნის წინად დაიშალა მენშევიკური პარტია, რომელიც ყველაზე უდიდეს ძალას წარმოადგენდა საქართველოში: მენშევიკების საუკეთესო ნაწილმა, მუშებმა, გლეხებმა და მშრომელმა ინტელიგენტებმა დასტოვეს ძველი პარტია და კომპარტიის რიგებში გადავიდენ. ეს უდიდესი ისტორიული ღირებულების აქტი იყო ფაქტიურად რღვევის პროცესში იმყოფებიან ანტისაბჭოთა სხვა პოლიტიკური პარტიებიც ამის საუცხოვო დამამტკიცებელი არის ნაციონალ-დემოკრატების ყრილობა და მათი დადგენილებანი.

კვირას, ოქტომბრის 28—ს ქალ. ალმასკომის დარბაზში შესდგა საქართველოს დემოკრატიული პარტიის (ეროვნულ-დემოკრატების, უპარტიოთა კავშირის და რადიკალ-დემოკრატების) ყრილობა. ყრილობას დაესწრო 33 დელეგატი საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან და ცენტ. კომიტეტის წევრნი.

კრება გახსნა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ პ. გო[illegible], რომელმაც თავის სიტყვაში მოკლედ შეეხო პარტიის ისტორიას, დაახასიათა თანამედროვე პოლიტიკური ვითარება და ახსნა მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს პარტიის ეხლანდელი ყრილობა.

პრეზიდიუმში აირჩიეს: იასონ ლორთქიფანიძე, დიმ. ჯავახიშვილი და კოტე ტყავაძე, მდივნებად—ნიკო კაიშაური და ბ. ვაშაკიძე.

კრებამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და ყრილობა აღიარა კანონიერად.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ვრცელი მოხსენება პარტიის პროგრამისა, ტაქტიკის და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. კრებამ დაადასტურა წაკითხული მოხსენებანი და მიიღო მასთან შეფარდებულია ერთხმად რეზოლიუციები.

ყრილობამ დაშლილად გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული პარტია და მისი ორგანიზაციები, აგრეთვე გააუქმა ყველა ძველი მანდატები. რეზოლიუციების მიღების შემდეგ კრება დახურულად გამოცხადდა.

# გერმანეთის ამბები.

ფრანგები და ბელგიელები განაგრძობენ სეპარატისტების დახმარებას. უკანასკნელნი მოკავშირეთა დახმარებით იჭერენ რეინის ცალ-ცალკე ქალაქზე. მცხოვრებლებს მოკავშირეები ხელს უშლიან სეპარატისტთა წინააღმდეგ გამოსვლაში.

ოკუპაცია ქმნილ ოლქებში საერთოდ, და განსაკუთრებით ქალ. ბოხუმსა, ესსენსა, დიუსელდორფის, გილზენკირხენსა, ვიტტიხსა და ბონნეში მღელვარება უსურსათობის ნიადაგზედ გრძელდება. ბონეში გაუთავებელ უწესოების გამო ფრანგებმა საალყო წესები გამოაცხადეს.

ზემო სილეზიის გერმანეთის ნაწილში სამთო მადნო წარმოების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს· თხოულობენ ხელფასის სტაბილიზაციას.

გერმანეთის ნაციონალისტებმა გამოაქვეყნეს პროკლამაცია, რომლითაც თხოულობენ სოც.-დემ. განდევნას მთავრობიდან.

რეინის სეპარატისტებმა საბოლოოდ შექმნეს მთავრობა კობლენცში: მთავრობის თავმჯდომარედ—მატტესი, გარეშე საქმეთა და შრომის (დროებით, დორტენის დაბრუნებამდე) მინისტრი—მეტცა, ფინანსთა—ვოლტერგოვი, შინაგან საქმეთა—ლიბიხი, საზოგადო ხამუშაოებისა და სახალხო განათლებისა—კრემერი, გზათა—მილერი, იუსტიციისა—კლებერა და მიწად მოქმედებისა და სასურსათო—სიმონი.

მომავალ საერთაშორისო საკონტრიბუციო კონფერენციაზედ ამერიკის წარმომადგენლად ასახელებენ პირფონტ მორგანს.

ქალ. ალფელდში, გრონაუში, ვალენსენში, ემდენში და ბრემენში დაიწყო საერთო გაფიცვა. ამ ქალაქებსა და აგრეთვე ბრაუნშვეიგსა და დელხენხორსტში სოც.-დემ. და კოსუნისტებმა შექმნეს საერთო მოქმედების კომიტეტები. კასსელში მოლაპარაკებაა მთლიანი ფრონტის შესახებ. სოც.-დემ. მოითხოვენ, რომ მოძრაობის ხელმძღვანელობა კო კომუნისტების ხელში იყოს.

ჰამბურგის მიდამოებში გრძელდება მცირე ბრძოლა.

საქსონიაში რეიხსვერმა დაიჭირა შოტლანდი და ერცესი. ბევრია დაპატიმრებული. ფაბკომების კონფერენციამ იენსა და გოტეში მოითხოვეს საერთო გაფიცვის გამოცხადება.

სოც.-დემ. შეუერთდნენ ამ მოთხოვნილებას.

მთელს გერმანეთში მუშები მოითხოვენ გაფიცვას, პროფკავშირები ეწინააღმდეგებიან. ირჩევენ მოქმედების კომიტეტებს, რომლებიც მიუხედავად კომიტეტში მყოფ სოც.-დემ. საბოტაჟისა აცხადებენ გაფიცვებს. ბევრ ადგილებში გაფიცვებს აწარმოებს ფაბკომები.

პარტიათა წარმომადგენლების და ოკუპაცია ქმნილ ოლქების მცხოვრებთადმი მიმართულ სიტყვაში შტრეზემანმა განაცხადა, რომ სეპარატისტები საფრანგეთ-ბელგიის იარაღის შეწევნობით ცდილობენ განამტკიცონ რეინში თავისი ძალა-უფლება პუანკარე, მიუხედავად დაპირებისა, უარს ამბობს მოლაპარაკებაზედ, ვითომცდა იმ საბაბით, რომ გერმანეთი დახმარებას აძლევს ოკუპაცია ქმნილ ოლქების მოხელეთ.

გერმანეთი ვერას დროს ვერ დაადასტურებს ტერიტორიის ჩამოშორებას. ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ რეინის ოლქი გადაიქცა საფრანგეთის სამხედრო ახალშენად.

გერმანეთი ვერ მიიღებს რკინის გზების ფრანგებისათვის გადაცემას, რადგანაც ეს იქნებოდა სუვერენიტეტზედ უარის თქმა.

შტრეზემანმა იმედი გამოსთქვა, რომ, აქამდის უნაყოფოდ წარმოებული, მრეწველთა მოლაპარაკება საფრანგეთთან დამთავრდება შეთანხმებით და იხსნის კატასტროფისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთს ედება პასუხისმგებლობა რურის 550,000 სამთამადნო მუშისა და მათი ოჯახების სიმშილით სასიკვდილოდ განწირვისათვის.

შტრეზემანმა კატეგორიულად უარჰყო ბრალდება, ვითომც გერმანეთის ბრალი იყოს საქვეყნო ომი. გერმანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი არქივები და ვისაც სინიდისი არ აწუხებს, ასევე მოიქცეს.

შეეხო რა ბავარიისა და ჰფალცის საკითხებს, აღნიშნა, რომ ჰფალციის საკითხში მთავრობა მხარს უჭერს ბავარიას, რომელთანაც კონფლიქტი მოკლე ხანში მოგვარდება.

გერმანეთის პრესა შტრეზემანის სიტყვას გერმანეთის საფრანგეთზედ „ლოიალურ შეტევის" დასაწყისად სთვლის.

ცნობებია, ვითომც შესაძლებელი იყოს, შტრეზემანმა გასწყვიტოს კავშირი სოც.-დემ., მით უმეტეს, რომ უკანასკნელებმა მეტად შეირცხვინეს თავი ჰფალცის საკითხში.

ფულის ნიშნების ნაკლებობა უფრო საგრძნობელი ხდება.

ლონდონში კონსერვატიულ პარტიის კონგრესზედ ბალდვინმა განაცხადა, რომ ინგლისს არ შეუძლია დასთახმდეს გერმანეთისაგან ტერიტორიის ჩამოშორებაზედ, რაინც დაარღვევს ვერსალის ხელშეკრულებას.

საფრანგეთი და ბელგია თანახმანი არიან მონაწილეობა მიიღონ კონფერენციაში. პარიზიდან მიღებულ ცნობით, პუანკარე წინასწარ პირობად სდებს ვერსალის ხელშეკრულების დაცვას და საკავშირთაშორისო ექსპერტების სარეპარაციო კომისიის დანიშვნას.

კერზონის შეკითხვის საპასუხოდ ამერიკის მთავრობამ აცნობა მას, რომ იგი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, ხოლო კონფერენციის მიზანი უნდა იყოს გერმანეთის ვალების კადახდის უნარიანობა.

კონფერენციას უნდა ჰქონდეს თათბირის ხასიათი და მისი დადგენილება არ იყოს სავალდებულო მხარეებისათვის. თუ კონფერენცია ვერ მიიღებს ერთსულოვან გადაწყვეტილებას, ამერიკის მთავრობა იტოვებს თავისუფალ მოქმედების უფლებას.

ამერიკის მთავრობა ხაზს უსვამს ამერიკის ხალხის სურვილს, მიიღოს კუთვნილი ვალი.

ბერლინში ოფიციალურად იუწყებიან, რომ შტრეზემანმა მოსთხოვა ცეგნერს საქსონიის მთავრობის გადადგომა, რადგანაც კომუნისტი მინისტრები მოუწოდებენ რეიხსვერის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

კვირას, წინააღმდეგ შემთხვევაში შტრეზემანი იმუქრება შესაფერი ზომებით.

შაბათს, ღამით შესდგა საქსონიის კაბინეთის სასწრაფო სხდომა. დადგენილება ჯერ არ არის გამოტანილი. ალბად, ულტიმატუმს არ მიიღებენ.

ბერლინის პოლიტიკურ წრეებში შესაძლებლად სთვლიან საქსონიის მთავრობის ყველა წევრების დაპატიმრებას, თუ უარს იტყვიან გადადგომაზედ. შესაძლებელია აგრეთვე ეკონომიური რეპრესიები: უარის თქმა ფულისა და სურსათის მიწოდებაზე.

უკანასკნელ დღეებში საქსონიაში გახშირდა რეიხსვერის პროვოკაციული გამოსვლები. დააპატიმრეს მთავრობის კომისრები სამოქალაქო კომისარის ნაიერის უცნობლად. ამის გამო მაიერი გაემგზავრა ბერლინში გესლერთან მოსალაპარაკებლად. გესლერა შეჰპირდა, რომ შემდეგში სამოქალაქო კომისრის ნება დაურთველად დაპატიმრება აღარ მოხდება.

საქსონიის ლანდტაგის დეპუტატი, კომუნისტი შნადლერა დააპატიმრეს.

საქსონიის სოც.-დემ. ორგანიზაციამ მამართა სრულიად გერმანეთის მუშებს მოწოდებით, დაეხმარონ სოციალისტურ საქსონიას. ასწერს რა, თუ როგორც ეპყრობა რეიხსვერი მუშებს, მოწოდება აღნიშნავს, რომ რეიხსვერს ხმარებაში შეჰყავს მათრახით დასჯა.

გოტეში შესდგა მოქმედების ცენტრალური კომიტეტი პროფკავშირთა, სოც.-დემ. და კომპარტიის წარმომადგენლებისაგან. რუდოლფშტატში, ეზენახში, ერფურტში და სხვ. ქალაქებში ფაბკომები ემხრობიან საერთო გაფიცვის გამოცხადებას.

მოქმედების კომიტეტები სოც.-დემ. და კომუნისტების შემადგენლობით შესდგა აგრეთვე გერასა, ეიბერგსა და ცეიცეში.

საქსონიის ორივე მუშათა პარტიის მიერ განზრახული შეერთებული მოწოდება გერმანეთის მუშებისადმი, საერთო გაფიცვის გამოცხადების შესახებ, ვერ გამოვიდა, რადგანაც საქსონიის სოც.-დემ. არ მოინდომეს წინადადებების ნათლად წამოყენება.

დრეზდენის ფაბკომების 5000 წარმომადგენლის კრებამ ცეიგნერის მოხსენებით, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გერმანეთის პროფკავშირთა ცენტრალურ ინსტანციებისაგან მოითხოვენ საერთო გაფიცვის შემზადებას.

საქსონიის პროფკავშირთა და მრეწველთა შორის მოხდა შეთანხმება სამთამადნო მუშების გაფიცვის დამთავრების შესახებ.

ტიურინგიაში, პარლამენტს გარეშე კომიტეტმა, რომელშიაც შედიან ორივე მუშათა პარტიის და მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენლები, მოითხოვა საერთო გაფიცვის მომზადება.

ასეთივე მოთხოვნილება წამოაყენეს სამხრეთ ტიურინგიის მოქმედებას კომიტეტმა, რომლებშიაც შედიან კომპარტიისა, დამოუკიდებელ სოც.-დემ, პროფკავშირთა და სახალხო მასწავლებელთა წარმომადგენელნი.

ცეგნერისადმი მიმართულ ულტიმატუმთან ერთად, საიმპერიო მთავრობამ წინადადება მისცა ბავარიას სულ მოკლე ხანში ბავარიის რეიხსვერი დაუმორჩილოს საიმპერიო სარდლობას. ბავარიის საზღვარზე აგროვებენ რეიხვერის მნიშვნელოვან ნაწილებს. მიუნხენის გაზეთებში დაბეჭდილია ამ ულტიმატუმის ოფიციოზური პასუხი, რომელშიაც ნათქვამია: „საიმპერიო მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან შვანციის ავტონომისტების მეთაურის გოფმანის პარტიული ამხანაგები, არ არის მოწოდებული დაარწმუნოს კარი სახელმწიფოს მთლიანობის დაცვის საჭიროებაში".

ბონნეში, აახენში, ტრირში და მაინცში გამაგრდნენ სეპარატისტები.

შტრეზემანისა და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლების მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა რეინის კომიტეტის დაარსება.

ლონდონის გაზეთ „ტაიმსს" თავისი კორესპონდენტი აცნობებს რეინის ოლქიდან, რომ საფრანგეთმა ოფიციალურად სცნო რეინის მთავრობა. ინგლისის უმაღლესი კომისარი რეინის ოლქში ამის გამო პროტესტის გამოცხადებას აპირებს.

„როტე შტურმფანე" სხვათა შორის სწერს: „გერმანეთის კომპარტიამ ყოველივე შესაძლებელი გააკეთა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. ეხლა გერმანეთის კომუნისტები იძულებული იქნებიან გამოვიდნენ დამოუკიდებლად, როგორც პარტია, თუმცა თავის მოქმედებაში იგი დაეყრდნობა მთელი პროლეტარიატის დახმარებას".

უმუშევრობა სწრაფად ვრცელდება მთელს გერმანეთში.

შაბათს ბერლინში გაჩნდა ახალი მტკიცე ვალიუტა—წვრილი კუპიურებ, დოლარის ანგარიშით.

მუსოლინი მზად არის დანიშნოს წარმომადგენელი კონფერენციაზედ, მხოლოდ არ უნდა თვითონ მიიღოს მონაწილეობა, რადგანაც არა აქვს მისი ნაყოფიერების იმედი.

რურში განახლდა მოლაპარაკება სტინნესსა და გლოკნერს შორის.

### მუშათა მოძრაობა.

**პარიზი.** ჩრდილოეთ საფრანგეთის მაღაროების მუშათა პროფკავშირების წარმომადგენლებმა (რომლებიც ეკუთვნიან როგორც უნიტარულ, ისე გენერალურ ფედერაციას) დაადგინეს აღადგინონ პროფმოძრაობის მთლიანობა „მუშათა კავშირთ-მწარმოებელთა კავშირის წინააღმდეგ"-ის პრინციპზე.

### ს. ს. რ. კ. და უცხოეთი.

**მოსკოვი.** მოწმეთა ჩვენებით აღმოჩნდა, რომ ლავროვისა და ლეჟნევის მკვლელთა შორის იყო ფინეთის ჯარის ფორმაში ჩაცმული პირი, რომელმაც მკვლელობის წინ გასცა განკარგულება: „გუნდო, აქეთ".

**პრაგა.** (ჩეხო-სლოვაკია) სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანო პროტესტს აცხადებს მთავრობის მიერ რუსეთის ემიგრანტერისათვის ფინანსიურ დახმარების აღმოჩენის გამო და ურჩევს მთავრობას, ამის მაგიერ უმჯობესია გამოარკვიო რუსეთთან დამოკიდებულებას.

**ნიუ-იორკი.** რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარის ნოგინის ამერიკაში გამგზავრების ხმებმა ბამბის შესყიდვის მიზნით დიდი ინტერესი გამოიწვიეს ნიუ-იორკის მრეწველთა წრეებში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ, ალბად მოსკოვის ქარხნებმა აღადგინეს თვისი მოქმედება.

## უცხოეთი

**ვარშავა.** ლოძისა და დოაბროვსკის რაიონში გაფიცვები იზრდება. ლოძიდან გაფიცვა სხვაგანაც ვრცელდება. გაფიცულები არიან ჩენსტოხოვსა, კოლპიგსა, პეტროკოვსა, ოგერესა, იზორკოვსა და ზავერცში. ლოძში გაფიცული არიან აგრეთვე მელითონენი და ტრამვაის მუშები.

**ვარშავა.** პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გამოაცხადოს საერთო გაფიცვა მთელს სახელმწიფოში.

მეტად იზრდება აგრეთვე რკინისგზელთა გაფიცვა.

**ანგორა.** ოსმალეთის კომისართა საბჭო (კაბინეთი) მთლიანად გადადგა. ოფიციალური მიზეზი არის ის, რომ მისკეს დიდ ეროვნულ ყრილობას საშუალება, შეადგინოს ძლიერი, ყრილობის ნდობით აღჭურვილი კაბინეთი.

## ახალი ამბები

**— სახალხო სახლის ცეცხლის საქრობ მანქანის შეკეთება.** ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა კომუნალურ განყოფილებას გადასცა 930 მან. 6 კ. ჩერვონცებით სახალხო სახლის ცეცხლის საქრობ მანქანის შესაკეთებლად.

**— შრომის სკოლებთან პარალელურ კლასების გახსნა.** ქ. ალმასკომმა დაადგინა: შკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მისაღებათ, შრომის სკოლებთან გაიხსნას პარალელური კლასები.

**— ქალაქის მე-2-ე საავადმყოფოს ლაბარატორიის გადაცემა უნივერსიტეტზე.** თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობისა ქ. ალმასკომმა შესაძლოდ სცნო ქალაქის მეორე საა-

---

გაურკვევლობა, რომლითაც მან გაჟლინთა მთელი ჩვენი ცხოვრება, რომელიც მან გაატარა სოციალურ-ეკონომიურ დარგებში.

ყველასათვის გასაგები და აშკარა იყო რუსეთის რევოლიუცია, მისი მიზანი და ზრახვები, მაგრამ არავისათვის გასაგები არ არის რევოლიუციის შემდგომი ხანა ჩვენში და ტაქტიკა ხელმძღვანელ პარტიის—სოციალ-დემოკრატიის.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ერთ ხელში დაიჭირა როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული ბურთი, ხოლო მთელი თავისი პოლიტიკა დაამყარა ორივე ბურთის თამაშსა და ტრიალს. დღევანდელს ხანაში ეროვნული პოლიტიკა უნდა დავამყაროთ ან ბურჟუაზიულს პრინციპს, ან სოციალისტურს პრინციპს. ვერც დუალისტურს პრინციპს, ვერც ეკლექტიურ პრინციპს ვერ დავემყარებოდით. ბურჟუაზიული პრინციპის წამოყენებით ჩვენ გირები უნდა გაგვეგო ბედის სასწორზე და ჯარისათვის მიგვენდო ერების საკითხი. ძალა ან მოისპობოდა და ქედს მოიგრეხდა უფრო მეტი ძალის წინაშე, ან და ურჩ ერებს კისერს მოუგრეხდა, ძალით ჩაჰკლავ და მათში წინააღმდეგობის აღლოსაც კი და საქართველოს ძლევა-მოსილებას დაიცავდა მილიტარულ ჯილის დაცვით. დიახ, ეს პოლიტიკა იქნებოდა გასაგები, აშკარა, ცნობილი და უდავო. ამ პოლიტიკას შევეხებოდით ან როგორც კარგს პოლიტიკას, ან როგორც ყალბს პოლიტიკას.

სოციალისტური პოლიტიკის წამოყენებით ჩვენ სავსებით ისევე მოვეპყრობოდით ადგილობრივ ერებს, როგორც მათი თავისუფალი ნებისყოფა გვეტყოდა, ისევე გასავალს მივსცემდით ჩვენს ხაზინას, როგორიც ექნებოდა ჩვენს ხაზინას გასავალი თვით შიდა საქართველოში. ჩვენ მივიდოდით ჩვენს ერებთან არა მარტო მიწის უფლებით, მივიდოდით სკოლებით, საავადმყოფოებით, ახალი ადმინისტრაციით, საკუთარი ზნით, საკუთარი ჩვეულებით, ეროვნულის კულტურით და ეროვნულის დროშით სოციალისტური პოლიტიკით ცხადი იქნებოდა ყველასათვის, რომ ქართული რესპუბლიკა მართლა საქართველოს რესპუბლიკაა, რომ ის ერების რესპუბლიკაა, რომ აქ მართლა სოციალისტური პარტიებია გაბატონებული, რომ აქ მართლა ხალხია ბატონი და არა ხალხის არისტოკრატია.

სოციალ დემოკრატიულ სახელმწიფოს პოლიტიკა ბურჟუაზიულიც იყო და სოციალისტურიც. ამიტომ გაუგებრობა გამეფდა, იჭვი განმტკიცდა, ურწმუნონი გამრავლდნენ, ერები ავიმხედრეთ ეროვნულ დემოკრატებს ჰგონიათ. რომ ერები გავიმტერთ სოციალიზმის გამო, მაგრამ ეს ბურჟუაზიული პროვოკაციაა, ერები იმიტომ გადავიმტერეთ, რომ ერების მშრომელმა მასსამ სოციალიზმი ვერ დაინახა. მან მხოლოდ ბურჟუაზიული მიზანი დაინახა.

საქართველოს ხსნა სოციალისტურ მიზნებშია, სოციალისტურ პოლიტიკაში. თავისუფლებაში, თანხმობაში, თანასწორობაში შეგვიძლია ჩვენ სიცოცხლე და ამ ტრიადის პრინციპი ჩვენ უნდა წინ წავიმძღვაროთ ერებთან მისვლის დროს

სოციალისტ ფედერალისტთა პარტია არის არა მარტო ეროვნული პარტია, ის საქართველოს სოც. ფედ. სარევოლიუციო პარტიაა, ე. ი. ჩვენი პარტიის პრინციპი სავსებით ეთანხმება არა მარტო ქართველობას, არამედ საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის სოციალისტურ პრინციპსაც. ჩვენ პრაქტიკულად უნდა დავანახოთ აქაურ ერებს, რომ საქართველო მართლა ერების რესპუბლიკაა, რომ ეროვნული კულტურა მარტო სიტყვის მასალა კი არ არის, არამედ საქმის მასალაა, ესე იგი ჩვენ სავსებით უნდა დავიცვათ ეროვნულ უმცირესობის ინტერესები, როგორც ეს შეეფერება სოციალისტურს პრინციპებს

მხოლოდ ამ პოლიტიკით შეიქმნება მათი ჩვენდამი ნდობა, სიყვარული, მხოლოდ ამ გზით წაიშლება მათი გონებიდან სეპარატიზმი. დღეს დაწერილიც რომ იყოს, მხოლოდ ამ სოციალისტურ-ეროვნულ პოლიტიკის წარმოებით ჩვენ შევქმნით საქართველოს რესპუბლიკას. ამ გზით მოვაწყობთ საქართველოს სოციალისტურს ჯარს, აღვადგენთ საქართველოს მთლიანობას, ცენტრს ფერიფერიას დაუკავშირებთ და საქართველოს კიდით-კიდემდე ყველა აქაური ერი ვიტყვით: ჩვენი სამშობლო მხოლოდ ერთია—საქართველო.

ძველი საქართველოს პოლიტიკა ერებისადმი იყო პოლიტიკა თავად-აზნაურული, არსებითად ბურჟუაზიული ხასიათისა, იმპერიალისტური. ეს პოლიტიკა უნდობლობის, გაუგებრობის, მძულვარების დღეს სავსებით უნდა მოისპოს. დღევანდელმა სოციალ-დემოკრატიულმა სახელმწიფომ ვერ შესძლო ძველი საქართველოს ეროვნულ პოლიტიკის შეცდომებიდან განთავისუფლება.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ ძალუძს საღი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმოება, მათი დრო და მათი პოლიტიკა აღარ შეეფერება თანამედროვე ხანას და საქართველოს განთავისუფლება და ქართველ ხალხის მეზობელ ერებთან დამეგობრება შეუძლიან მხოლოდ იმ პარტიას და ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ემყარება სოციალისტურ ეროვნულ პოლიტიკას, სავსებით უარყოფს ბურჟუაზიულ პრინციპებს და სოციალისტურ ლაპარაკს სოციალისტურის კანონმდებლობით ამართლებს.

**თედო ღლონტი.**

ვალ მყოფის გადაცემა უნივარსიტეტზე. ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაავალა ჯანმრთელობის განყოფილებას, რათა მან გამოიმუშაოს პირობები ლაბარატორიის გადაცემისა და წარუდგინოს პრეზიდუმს დასამტკიცებლად.

— **სამაზრო საბჭოს ყრილობა კედში.** კედიდან საქ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს შ. ელიავას სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „კედის სიმაზრო საბჭოს ყრილობამ აგირჩიათ რა თავის პრეზიდიუმის საპატივო წევრად, მოგესალმებით თქვენ ფუხარა ხალხის მტკიცე დარაჯო და გისურვებთ კეთილ დღეობას.

— **შუამდგომლობა.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა ა. კ. სასურსათო კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა აღძრა სასურსათო გადასახადიდგან განსაზღვრული პროცენტი გადასდვან სოც. უზრ. საქმეზე მოსახმარ ფონდის საშუალებათა გასაძრიელებლათ.

— **ამხ. კ. ხომერიკის მოხსენება.** სოც. უზრ. სახ. კომისარი ამხ. კ. ხომერიკი 29 ოქტ. გაემგზავრება ქუთაისში საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლად სამაზრო ყრილობაზე დასასწრებლათ და კომიტეტების დანიშნულებაზე მოხსენების წასაკითხავათ.

— **ტანთვარჯიშობა საქართველოში.** განათლების სახ. კომისარიტის ფიზიკური აღზრდის მთავარმა ინსტრუქტორმა, ცირკულიარით მოსთხოვა ყველა შრომის სკოლების და ტეხნიკუმების ტანვარჯიშობის მასწავლებლებს გასულ სამოსწავლო წლის ანგარიშები და პროგრამები.

— **პედაგოგიური საბჭოების ფუნქციების გაფართოვება.** განათლების კომისარიატის შრომის სკოლების განყოფილებამ გადასწყვიტა. შეიმუშავოს ინსტრუქცია შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭოს შესახებ, რომლის ძალითაც ამ უკანასკნელის ფუნქციები გაფართოვებული იქნება.

— **შრომის სკოლების პროგრამების გადათვალიერება.** განათლების კომისარიატის შრომის სკოლის განყოფილებამ მოიწვია კომისია, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს შრომის სკოლის პროგრამები და გაანაწილოს სასწავლო მასალა სემესტრების მიხედვით.

— **სტენოგრაფისტების გამოცდა.** დღეს, საღამოს 5 საათზე, მე-20 ტეხნიკუმის შენობაში ზებუთოვის ქ. № 28 შესდგება საჯარო გამოცდები იმ პირთა, რომლებმაც დაამთავრეს განათლების კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის ქვემდებარე სტენოგრაფის კურსები. გაბელსაბერგერის სისტემით.

— **ახალი ბანკები.** ახლო მომავალში ტფილისში გაიხსნება ორი ახალი ბანკი: სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო.

— **გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე რაიონული კომიტეტები** ძველ-სენაკში და მის თემებში დაარსებული იქნა გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე რაიონული კომიტეტები.

— **ახალი არჩევნები.** 1, ნოემბრიდგან მთელ საქართველოში დაიწყება საბჭოების ხელ-ახალი არჩევნები.

— **კოჯორის და კიკეთის აგარაკების შენობათა შეკეთება.** ქალ. ალმასკომის მიერ შეკეთებული იქნა აგარაკი კოჯორის და კიკეთის 141 შენობა.

— **შრომის ბირჟა.** 27 ოქტომბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა 345 უმ.—ახლად ჩაეწერა 64 უმ. გაიგზავნა სამუშოზე—95 უმუშავარი.

— **გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სახლის მოწყობა.** განათლების კომისარიატთან არსებულმა მცირე წლოვანთა უფლების დაცვის განყოფილებამ გახსნა კოჯორში სახლი გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთათვის. სახლში მოთავსებული იქნება 35 ბავშვი.

— **საცვლები პროვინციისათვის.** განათლების კომისარიატის მიერ 1923 წლის განმავლობაში პროვინციის და მართებლობის განყოფილებებს მისცა 120 ზეწარი, 400 ხალათი, 700 საბანი, 110 პერანგი და 110 პერანგის ამხანაგი და 500 საწოლი.

— **რენტგენის სხივების კაბინეტი.** ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მიღებულ სამხედრო უწყებიდგან რენტგენის სხივების აპარატი უკვე დადგმულია ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოში.

— **რკინისგზელთა სექცია.** შრომის ბირჟის საქმეების სწორედ წასაყვანად და მუშაობის გასაცხოველებლად, რკინის გზელთა სექცია გადატანილი იქნება მადათოვის ქუჩაზე.

— **სამისამართო მაგიდის შემოღება შრომის ბირჟაზე.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა: უმუშავართა თვითონ სამუშაოს რიგის მისაღებად და საქმის გასაგებად შემოიღოს სამისამართო მაგიდა.

— **დიდი ხანძარი სოფ. წილკანში.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში დუშეთის მაზრის ალმასკომიდან მიღებული ცნობით 28 ოქტომბერს ნაშუადღევის 14 საათზე (2 სათზე) გამოურკვეველ მიზეზების გამო სოფ. წილკანს (დუშეთის მაზრა) წაეკიდა ცეცხლი: უბერავდა საშინელი ქარი, დაიწვა მთელი სახლები და ჭირნახული 47 კომლისა. ადგილობრივი მილიცია და ხუთი სოფელი გაათთრებულად მუშაობდა ღილის 5 საათამდე. ცეცხლი მინელებულია. ზარალი აღემატება ოთხას (400) მილიარდს მანეთს. ადამიანთა მსხვერპლი არ არის.

— 28 ოქტომბერს ღამის 1 საათზე ქ. ტფილისიდან სოფ. წილკანში დასახმარებლად გაიგზავნა ხანძრის მქრობი რაზმი და ტფილისის მილიციის უფროსი ამხ. ხმალაძე.

— **თავის მოწამლა.** 26 ოქტ. მოქ. სიმონ ცაბაძემ მცხ. ანტონოვის ქუჩის ბოლოზე, მოიწამლა თავი მიზეზი თავის მოწამლისა გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 26 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. დავით კიკნაძის ბინა, მცხ. ლისაგორის ქ. № 12-ში, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული ერთ მილიარდ მანეთისა.

— **დუქნის გაქურდვა.** 26 ოქტ. გაქურდული იქმნა მოქ. თედო თიკანაძის დუქანი, რომელიც მდებარეობს პლეხანოვის პრ. № 13 ში სიიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა საქონელი ღირებულება გამოურკვეველია.

## პროვინციაში

### მისაბაძი მაგალითი

ამ დღეებში საქმეების გამო მგზავრობა მომიხდა დ. ჩოხატაურიდან ზემოხეთის თემში. გზით გავიარე კოხნარის და საჯამია-სერის თემები. გადავსცდი თუ არა აღმოსავლეთ გურიის მთავარ გზას, ჩემს თვალს მეტათ სასიამოვნო სურათი წარმოუდგა. მთავარი გზიდან თემის დაწესებულებებამდე გაუყვანიათ ფართო ამოკენჭილი გზა, რომელიც სოფლის გზას კი არა, რომელიმე ცენტრისკენ მიმავალ გზას უფრო მოგაგონებს ამის მნახველი აშკარათ დარწმუნდება, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას და თვით მცხოვრებთ დიდი ენერგია და შრომა დაუხარჯავთ. ყოფილ ერისთვის მამულში მოუყრიათ თავი ყველა დაწესებულებისათვის. აქ არის ახლად გახსნილი სამეურნეო სკალა, ოთხწლედი, კოოპერატივი და თემის სამართველო. მეტად სასიხარულო და სასიამოვნო სურათია! ვაშა კოხნარის თემის მუშაობას!

აქედან პირდაპირი გზა მიიმართება საჯამიასერის თემისაკენ. შორიდანვე მგზავრის ყურადღებას იპყრობს საჯამია-სერის 7 წლედის ლამაზი შენობა, რომელიც მაღალი გორაკიდან გადაყურებს არე-მარეს. სურათი აქაც საუცხოვოა. ვეებერთელა ქვის შენობა ქესტით დახურული, იქვე მახლობლად ფოსტა, თემის სამართველო და სხვა. მგრამ ყველაზე უფრო თვალწარმტაცი სურათი წარმოგიდგებათ, როდესაც თქვენ ნახავთ აქაურ სახალხო სახლის შენობას.

აღნიშნული შენობა ხისაა, დაუწყიათ წელს და სულ მოკლე დროში დამთავრებული იქნება. თვით შენობა გაგრძნობინებთ, თუ რაოდენი სურვილი ყოფილა ხალხში განათლებისა და წინმსვლელობისა. აშკარაა, თუ რა დიდი ენერგია და შრომა დაუხარჯავთ აქაურ მკვიდრთ.

სამაგიეროთ ოზურგეთის მაზრაში სახალხო სახლის მხრით პირველობა, ეჭვი არ არის, მათი იქნება. მუშაობაც ასეთი უნდა, ბარაქალა მათ საქმიანობას! აქედან გადავდივარ ზემოხეთის თემში, აქაც ასეთი სურათი.

თემის ყველა დაწესებულებები ერთ ადგილზეა: სკოლა, ფოსტა, თემის სამართველო და სახალხო სახლი. ყველაზე უწინ თქვენ ყურადღებას აქ იპყრობს თეთრათ შეღებილი მოგრძო შენობა; შედიხართ შიგ. სურათი წარმტაცია. ქალაქის თეატრების ყაიდაზე მოწყობილი დარბაზი ჩამწკრივებული სკამებით. გალერეით და პატარა კოპწია სცენით.

ხედავ ყველა ამას და უფიქრდები, თუ რა აღმშენებლობითი მუშაობა უწარმოებიათ ამ თემებს, რომლებიც ცენტრიდან საგრძნობი მანძილით არიან დაშორებული. საღამოს ვბრუნდები უკან და მუდამ თვალწინ მიდგას აღნიშნულ თემებში ნახული სურათები.

მართლაც რომ მათი მუშაობა სამაგალითო უნდა იყოს სხვებისათვის.

**ამხაითელი.**

---

### დუშეთი

ვისაც დუშეთში ერთი წელიწადი მაინც უცხოვრია და მის მაზრისათვის ცოტათ თუ ბევრათ თვალყური უდევნებია, არ შეიძლება მას გულის სიღრმიდან მწარე ოხვრა არ აღმოსკდეს და არა სთქვას: „ღარიბნი არიან იმისთვის, რომ უსწავლელნი არიან, უსწავლელნი არიან იმისთვის რომ ღარიბნი არიან“-ო და მართლაც არა მგონია მთელ საქართველოში ისეთი კუთხე მოიძებნებოდეს, სადაც ასეთი სიბეჩავე და სიღატაკე სუფევდეს, როგორიც დუშეთის მაზრაში, გამონაკლისით რასაკვირველია, ერთი მცირე ნაწილისა, როგორიც არის მუხრანის და წილკანის ველი.

მე აქ არ გამოუდგები სწავლა-განათლების მსვლელობას მაზრაში, მე ამ შემთხვევაში უფრო ეკონომიური მხარე მაინტერესებს, თუმცა კი უნდა ვაღვიარო რომ სადაო კითხვაა: „ქათამი გაჩნდა უწინ, თუ კვერცხი!“ ეკონომიკას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თუ სწავლა-განათლებას!...

ერთერთ დიდ საქმეთ, რომელიც კი გაკეთებულა დუშეთის მაზრაში ეს გახლავთ ნატახტარის არხის შეკეთება. ამ არხმა საშვალება მისცა ღარიბეს გლეხებს 22 ვერსის მანძილზე მორწყონ ის ადგილ-მამულები, რომლებიც ღვთის ანაბარაზე იყო მიტოვებული და ხშირათ დიდი გვალვის დროს ხელცარიელნი რჩებოდნენ. დღეს გლეხმა იმ ადგილებში სიმინდის თესვა დაიწყო და რასაც მას ურწყავი ადგილი აძლევდა ახლა ერთი ათათ მეტი აიღო სიმინდის თესვით. თავის თავათ ცხადია, რომ ჩვენმა გლეხმა პურის მცენარის კულტურის მეტი არა იცის რა, და თუ მას სხვა რაიმე კულტურის მცენარის დამუშავების საშვალება არ მივეცით იგი გამოლალავს ამ მამულებს სიმინდის და ლობიოს თესვით. მთელს ამ მიწაზე, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზის მარჯვნივ და მარცხნივ, შეიძლება გაშენდეს საუცხოვო ბაღ-ვენახები. ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაუწევს ეს გზა. ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმის დაწყებას მხოლოდ ინიციატივა სჭირდება.

ამ ინიციატორების ძებნა შორს არ მოგვინდება. ესენი გახლავან ძმ. მამულაშვილები, სოფ. ნატახტარში მცხოვრებნი. ეს სამი ძმა ჩუმად, უხმოდ დასდგომიან დიდ და უზარმაზარ საქმეს და ხმა-შეწყობილათ, თუმცა დიდის გაჭირვებით შესდგომიან რაციონალურ მეურნეობას; კაცმა თავის თვალით უნდა ნახოს მათი შრომის ნაყოფი და მაშინ დამეთანხმება თუ ჩვენი ქვეყნის საერთოდ და კერძოთ დუშეთის მაზრას რა რიგათ წინ წასწევდა მათი მაგალითის მიბაძვა. დიდი იდეების დამყარება შეიძლება ამ პატიოსან შრომის შვილებზე ჩვენი დუშეთის მაზრის აღორძინების საქმეში და ზერელედ მაინც მათი დახასიათება ზედმეტი არ იქნებოდა. სამნი ძმანი მამულაშვილები სოფ. მცხეთის მკვიდრი მცხოვრებნი არიან. უფროს ძმას მიხეილს, უმაღლესი ცოდნა მეურნეობის დარგისა გერმანიაში აქვს მიღებული; ორს კი ნიკოს და ალექსანდრეს, ნეტარხსენებულ ილია წინამძღვრიშვილის სამეურნეო სასწავლებელი აქვთ დამთავრებული. მიხეილს ამ მოკლე ხანში გერმანიიდანვე უბრუნდება შვილი იმავე დარგზე კურს დამთავრებული, რომელიც სულით და გულით მოისწრაფის რომ თავის მამის და ბიძეების დაწყებული საქმე გააფართოვოს და რაიმე წვლილი შეიტანოს ჩვენი მაზრის აღორძინებაში.

აი, ამ საუკეთესო შემთხვევით უნდა ისარგებლოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ და რათაც უნდა დაუჯდეთ, გაუკეთონ **სანერგე** როგორც ხეხილისა აგრეთვე ამერიკული ვაზისა.

**დათიკო.**

---

**ხუთშაბათს, ნოემბრის 1-ს გაზ. „ტრიბუნას“ დამატებათ გამოვა „ახალგაზრდათა ხმა“. ამხანაგებს ვთხოვთ მასალები წინასწარ გამოგზავნონ „ტრიბუნას“ რედაქციაში.**

## ხელოვნება

**მწერალთა კავშირების შეერთება.** 28 ოქტ. მოხდა მწერალთა კავშირის გამაერთიანებელი კონფერენცია. კონფერენციის დადგენილებით ამიერიდან არსებობს მხოლოდ ერთი მწერალთა კავშირი. არჩეული იქნა ახალი საბჭო 33 კაცის შემადგენლობით.

---

ხუთშაბათს, ნოემბრის 1-ს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ლადო მესხიშვილის მოსაგონებელი საღამო ვრცელი პროგრამით.

---

**მუდმივი ბილეთები თეატრში გაზეთების თანამშრომლებს.** მთავარმა სახელოვნო კომიტეტმა დადგინა მიეცეს მუდმივი უფასო ბილეთები აკადემიურ თეატრებში მოსკოვის გაზეთების სპეციალურ კორესპოდენტებს.

---

**რექტორი.** მთავარ სახელოვნო კომიტეტის წინადადებით სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი ზაქარია ფალიაშვილი შეუდგა აღნიშნულ თანამდებობის შესრულებას.

---

**ახალგაზრდა კომკავშირის წარმომადგენლის დანიშვნა მთავარ სახ. კომიტეტში.** მთავარ სახელოვნო კომიტეტში ახალგაზრდა კომკავშირის წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ასილოვი.

---

**დაისი.** ზაქ. ფალიაშვილის ახალი ოპერის დასადგმელად დიდი მზადებაა სახელმწიფო ოპერის თეატრში. ოპერა დაიდგმება ნოემბრის 29-ს.

---

**შალვა დადიანის პიესები.** დაიბეჭდა შალვა დადიანის პიესათა კრებული; წიგნში მოთავსებულია შვიდი პიესა: „როს ნადიმობენ“, „შენი ჭირიმე“, „გუშინდელნი“, „ვარლამი“, „გეგეჭკორი“, „შეერთებული ძალით“ და „მღვიმეში“.

---

**რუსთაველის თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში დაიდგმება ახალი შემადგენლობით „ინტერესთა თამაში“. დასდგამს რეჟ. კ. მარჯანიშვილი.

**რევოლიუციის სიმღერები.** დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ კ. ფოცხვერაშვილის მიერ შედგენილი სამუსიკო კრებული „რევოლიუციის სიმღერები“.

---

**ქართ. აკადემიური გუნდი.** ქართული აკადემიური გუნდი გადახალისებული სახით იარსებებს სახელმწიფო კონსერვატორიასთან.

---

**ორი ახალგაზდა მხატვარი.** სახელოვნო კომიტეტს განზრახვა აქვს ირაკლი თოიძის საზღვარგარეთ და ირაკლი გამრეკლის მოსკოვში გაგზავნის შესახებ აღძრას შუამდგომლობა.

---

**რაპოპორტის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი პეტროგრადელი რეჟისორი რაპოპორტი, რომელიც მოწვეულია სახელმწიფო ოპერის თეატრში რეჟისორად. რაპოპორტი პირველად დადგამს „მოცარტ დასალიერი“-ს შემდეგ „ვაგნერის ტანჰეიზერ“-ს. ამასთანავე მას განზრახვა აქვს დასდგას მთელი რიგი ვაგნერის ოპერებისა, „ლოენგრინი“, ტრისტან და იზოლდა რიმსკი-კარსაკოვის „სადკო“, „მეფის სასძლო“ და სხვა ოპერები.

---

**რუსული დრამა.** სახალხო სახლში დრამის სეზონი განზრახულია გაიხსნას 1-ლ ნოემბერს, ლუნაჩარსკის ახალი პიესით, „განთავისუფლებული დონკიხოტი“-თ.

---

## ღია წერილი

მიმდინარე სამოსწავლო წლიდგან სახელმწიფო კონსერვატორიაში მიმიწვიეს თანამშრომლად; მივიღე თუ არა ოფიციალური ბარათი კონსერვატორიის კანცელარიიდგან ჩემი იქ დანიშვნისა, მეორე-მესამე დღესვე ვაახელ თავი გამგეობას; რასაკვირველია, მე მაინტერესებდა ის, თუ რაში გამოიხატებოდა ჩემი თანამშრომლობა დ საერთოდ რით შემეძლო სამსახური გამეწია მთლიანი საქმისთვის; თეორეტიულ ფაკულტეტის დეკანმა დამაკმაყოფილებელი განმარტება მომცა ჩემი იქ დანიშვნის; გავიგე რა, რომ მე ქართულს, ენაზედ მომიხდებოდა მეცადინეობა მოწაფეებთან, არა ნაკლებ, დამაინტერესა იმანაც თუ რა დამოკიდებულებაში იქნებოდნენ ქართველი მოწაფეები მაინც იმ საგნებთან, რომლებიც მე ქართულად მომიხდებოდა კითხვა.

ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ფაკულტეტის დეკანმა მაუწყა, რომ **ქართველი მოწაფეები თავისუფალნი არიან და შეუძლიანთ ქართულ ენაზედ სწავლა კი არა, რუსულს ენაზედ სწავლა ირჩიონ და, მაშასადამე, რუსს ლექტორს უსმინონ ლექციებიო**; ამ განმარტების შემდეგ მე კითხვა დამებადა ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორია ქართული კონსერვატორიაა, ისევე როგორც ქართული უნივესიტეტი, ტეხნიკუმები და სხვა, თუ არა?

თუ ეს ქართული დაწესებულებაა, სადაც ქართულ ენას უპირატესობა უნდა ეძლეოდეს, მაშ რატომ აღარ უნდა იყოს სავალდებულო ქართველ მოწაფეთათვის ქართულ ენაზედ მეცადინეობა და ლექციების მოსმენა? და თუ ტფილისის კონსერვატორია ქართული კულტურული დაწესებულება არ არის, მაშინ რა ღა აზრი ჰქონდა ჩემს იქ მიწვევას ქართულ ლექტორად? მე ძალიან ნასიამოვნები ვარ იმითი, რომ უყურადღებოთ არ დაგვტოვენ და კონსერვატორიის ლექტორად გაგვხადეს, მაგრამ არ შემიძლიან მწუხარება არ გამოვთქვა იმაზედ, რომ ჩემი იქ ქართულად მეცადინეობა სულ უშედეგო დ მომეტებული იქნება ზემოხსენებულ პირობებისა გამო. ჩვენ თავის განდიდება არ გვიყვარს, მაგრამ არც ისე დავიმცირებთ თავსა, რომ ლექტორად ვითვლებოდეთ და აუდიტორია კი არა გვყავდეს.

ესეც უნდა ვთქვათ,—შარშანაც იყო ზოგიერთა საგნების ქართულად მეცადინეობა კონსერვატორიაში და ნუ თუ ქართული ენა ამისთანა მდგომარეობას განიცდიდა?

ვფიქრობთ, დროა კულტურულ აღორძინებაში ქართულმა ენამ უფლებები მოიპოვოს და ფაქტიურად განმტკიცდეს, ყველა ამისათვის კი საჭიროა განათლების კომისარიატის კატეგორიული და გარკვეული განმარტება სახელმწიფო კონსერვატორიაში ქართულ ენის ორჭოფულ მდგომარეობის შესახებაც.

**ი. კარგარეთელი.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთი
„ტრიბუნა“
ნოემბრის 1-დან ეღირება:

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 7.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 9.000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 500.000 „ |

ტირაჟი 1900 ... ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 774 ... სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, ... № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა